

თავი II

შესასწავლი საკითხები:

- ❖ სამართლებრივი სისტემის ტიპები (სამოქალაქო ისლამური სამართალი და სხვა სამართლებრივი სისტემები);
- ❖ საერთაშორისო სამართალი;

სამართლებრივი საკითხები საერთაშორისო მენეჯმენტში

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ორ ურთიერთდაკავშირებულ საკითხს - სამართლებრივი სისტემებს იმ ქვეყნებში, სადაც საერთაშორისო ბიზნესი ფუნქციონირებს. სამართალი არის კანონთა კრებული, რომელიც განსაზღვრავს კომპანიათა ქმედებას. უნდა გესმოდეთ, რომ მსოფლიოში ბევრი განსხვავებული სამართლებრივი სისტემაა, მათ შორის იმ ქვეყნებშიც კი რომლებსაც ერთი და იგივე კულტურა აქვთ. ეს საკითხი განხილულია ამ თავის პირველ ნაწილში.

სამართლებრივი სისტემის ტიპები

ლიტერატურაში არ არსებობს სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაციისადმი ერთიანი მიდგომა. ამასთან 2.1. ცხრილში არის წარმოდგენილი ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც გვეხმარება კანონის მიხედვით კულტურების გაცნობაში. როგორც ხედავთ, კანონთა რაოდენობა და ტიპები მრავალგვარი და კომპლექსურია. მაგრამ ყველაზე ხშირად გამოყენებადი სისტემები სამოქალაქო და საზოგადოებრივი სამართალია.

სამოქალაქო სამართალი. მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გამოყენებადი სისტემაა. მას ასევე მოიხსენიებენ როგორც *კანონთა კოდექსს*. მისი არსი გულმოდგინედ დამუშავებულ კანონებსა და დაკონკრეტებულ წესებში მდგომარეობს. მისი მთავარი მიზანი სრულყოფილი საზოგადოებრივი წესრიგის შექმნაა.

ცხრილი № 2.1

საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები

<i>სამართლებრივი სისტემების სახეები</i>	<i>სისტემის მახასიათებლები</i>
სამოქალაქო სამართალი	<ul style="list-style-type: none"> • კოდირებული • დაფუძნებულია აბსტრაქტულ პრინციპებზე. • სრულყოფილი წესრიგის შედეგად ადვილად გამოსაცნობი.
საზოგადოებრივი სამართალი	<ul style="list-style-type: none"> • დაფუძნებულია წარსულზე. • ყურადღებას ამახვილებს პროცედურებზე. • ადაპტაციის უნარის მქონე.
ისლამური სამართალი	<ul style="list-style-type: none"> • რელიგიურ რწმენებზე დაფუძნებული კანონები. • კოდირებული და წინასწარმეტყველური. • ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებადი.

კომუნისტური/სოციალისტური სამართალი	<ul style="list-style-type: none"> • იდეოლოგიაზე დაფუძნებული. • ბიუროკრატიაზე დაფუძნებული. • მინიმალური პირადი უფლებები.
აფრიკული სამართალი	<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებაზე ორიენტირებული. • ადათებზე დაფუძნებული. • ჯგუფზე დამყარებული შედეგი.
აზიური სამართალი	<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივი წესრიგი. • კანონი გამომდინარეობს სამართლებრივი სრუქტურიდან. • ბიუროკრატიზებული.

დასავლურ კულტურებში სამართლებრივი სისტემა რომაულ დროში შეიქმნა. ამას მოჰყვა ნაპოლეონის კანონთა კრებული, რომელიც გასულ საუკუნეში საფრანგეთის კოლონიებში გავრცელდა და ისეთივე ზეგავლენა იქონია მათზე, როგორც გერმანულმა კანონთა კრებულმა მის კოლონიებზე. საფრანგეთსა და გერმანიასთან ერთად, ჩეხეთის რესპუბლიკა, საბერძნეთი, ინდონეზია, იაპონია, თურქეთი, რამოდენიმე სამხრეთ ამერიკული და აფრიკული ქვეყანა იყენებს სამოქალაქო სამართლის კოდექსს. არსებული სამართლებრივი წესების გამო, საზოგადოებრივ სამართლებრივ სისტემასთან შედარებით ქვეყნებს სამართლებრივი საქმის წარმოებაში არსებითი განსხვავება გააჩნიათ.

საზოგადოებრივი კანონი გამოიყენება დაახლოებით 30 ქვეყანაში, გაერთიანებული სამეფოს, მისი კოლონიების დიდ ნაწილის, შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიისა და ირლანდიის ჩათვლით.

უკვე არსებული კანონთა კრებულის გათვალისწინების ნაცვლად, ის იურიდილი დავის გადასაწყვეტად იყენებს გამოცდილების ემპირიულ პრინციპს. მოცემულ შემთხვევაზე კონცენტრირების და მისი წინა საქმესთან მსგავსების გამო, და არა უკვე არსებული წესების გათვალისწინებით საქმის წარმოებას საზოგადოებრივ სამართალში დიდ მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, საზოგადოებრივ სამართლის სისტემაში მოსამართლე შედარებით ინერტულია. როცა სინამდვილეში მოსამართლე მსაჯის როლში წარმოჩნდება. მოსარჩელის და მოპასუხის მხარის ადვოკატები დავის გადასაწყვეტად ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მტკიცებულება და სამართლებრივ საქმეს მისცენ შემდგომი მსვლელობა. სამოქალაქო სამართალში მოსამართლე უფრო აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესებში, ის წყვეტს თუ რა სახის მტკიცებულება უნდა წარედგინოს სასამართლოს. მას ვინც საზოგადოებრივი სამართლის სისტემას მიუხევევლია, იქ არსებული წესები შეუთავსებადი ეჩვენება, რომლებიც საქმიდან საქმემდე და წლიდან წლამდე ხშირად იცვლება. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ეს სიმართლეა, და ამას ადვილად დავინახავთ პრეცედენტზე დაყრდნობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინა გადაწყვეტილების ზეგავლენა, სასამართლოს ახსნა-განმარტებებს, სამართლებრივ მოდიფიკაციას დავის გადასაწყვეტად მიყვავართ წუნაადმდეობრივ სიტუაციამდე.

2.2. ცხრილში წარმოგენილია მონაცემები, რომელიც ამ არგუმენტებს უფრო დამაჯერებელს ხდის. ცხრილის მარჯვენა მხარეში წარმოდგენილია ადვოკატების პროცენტული რაოდენობა სამოქალაქო და საზოგადოებრივი სამართლებრივი კოდექსის

მქონე ქვეყნებში. იმ ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო სამართალია (მაგალითად: სამხრეთ კორეა, იაპონია და საფრანგეთი) უფრო ცოტა ადვოკატია, ვიდრე იქ სადაც საზოგადოებრივი სამართალია (მაგალითად: ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და პაკისტანი). მხოლოდ შეერთებულ შტატებშია მსოფლიოს ადვოკატების 40%, მაშინ როდესაც იაპონიაში ეს რიცხვი ძალიან მცირეა. 2.2 ცხრილი გვაწვდის სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასაც. ის სხვადასხვა ქვეყნებში სამოქალაქო სამართალდარღვევათა დანახარჯებს GDP-ის (მთლიანი შიდა პროდუქტი) სახით პროცენტებში წარმოგვიდგენს. უხეშად რომ ვთქვათ, ის გვიჩვენებს იმ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია იმ სასამართლო პროცესებთან, რომელიც განიხილავს პროდუქტს, (მაგალითად: ავტომობილები, სიგარეტი), მომსახურებას (მაგალითად: უკანონო მოქმედება) და სხვა სამოქალაქო ქმედებებს. ამერიკის შეერთებულ შტატებს (2.4%-ით, მასთან ყველაზე ახლოს მყოფ ქვეყანაზე – შვეიცარიაზე (0.7%) 4-ჯერ მეტი ამ ტიპის დანახარჯები აქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამოქალაქო სამართალდარღვევათა დანახარჯები მხოლოდ სამართლებრივი სისტემის ფორმის შედეგი არ არის – მაშინ როდესაც ბოლო 20 წლის მანძილზე ამერიკის სამართლებრივი სისტემა არ შეცვლილა სამოქალაქო სამართალდარღვევათა დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1970 წლიდან 1990 წლამდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო სამართალდარღვევათა დანახარჯები (GDP-სთან მიმართებაში) გასამმაგდა.

ცხრილი № 2.2

განსხვავებულ ქვეყნებში ადვოკატთა რიცხვი და მთლიანი დანახარჯები

ქვეყანა	ადვოკატების რიცხვი ყოველ 100,00 ადამიანზე	ქვეყანა	მთლიანი დანახარჯები (როგორც GDP-ს %)
პაკისტანი	508.4	ამერიკის შეერთებული შტატები	2.40
სინგაპური	396.0	შვეიცარია	.70
ამერიკის შეერთებული შტატები	312.0	საფრანგეთი	.55
ბელგია	214.0	კანადა	.55
გერმანია	190.1	ავსტრია	.53
კანადა	168.5	ბელგია	.50
ავსტრალია	145.7	გერმანია	.45
გაერთიანებული სამეფო	133.8	გაერთიანებული სამეფო	.45
იაპონია	101.6	იტალია	.45
იტალია	81.2	ესპანეთი	.35
ბრაზილია	69.1	იაპონია	.35
საფრანგეთი	49.1	დანია	.35
ინდოეთი	34.4	ავსტარლია	.30

სამხრეთ კორეა	7.7		
ჩინეთი	4.2		

ამასთან, მენეჯერებმა უნდა იცოდნენ ის განსხვავებები, რომლებიც მსგავს ქვეყნებშიც კი არსებობენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები და გაერთიანებული სამეფო, იყენებენ საზოგადოებრივი სამართლის სისტემას, მაგრამ მათ შორის დიდ განსხვავებაა. მაგალითად, კვლევა-ძიების პროცესი ამერიკის შეერთებულ შტატებში ღია და ვრცელია. ბრალდებულის დამცველი კარგად იცნობს იმ მოწმეებს, რომლებსაც სასამართლო გამოიძახებს და შეიძლება მათ ფიცის დადებაც მოთხოვოს, რათა გაარკვიონ სრულ სიმართლეს იტყვიან თუ არა ისინი. ამ დროს გაერთიანებულ სამეფოში არ არსებობს ღია კვლევა-ძიების პროცესი. ხშირად ბრალდებულის მხარეს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ პოტენციური მოწმეების სია, და მოკლედ ახსნას თუ რატომ იყვნენ ისინი გამოიძახებულნი. მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებში საადვოკატო მომსახურებისათვის ჰონორარი ჩვეულებრივი მოვლენაა, გაერთიანებულ სამეფოში ეს არაეთიკურად მიიჩნევა, სადაც კლიენტები საათობრივ გადასახადს იხდიან. უფრო მეტიც, გაერთიანებულ სამეფოში ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ სასამართლოს ხარჯები და მოწინააღმდეგის ადვოკატის გასამრჯელო წაგებულმა მხარემ გადაიხადოს.

ისლამური სამართალი. მის მოქმედებას განსაზღვრავს ყურანის რელიგიური სწავლება (ყურანის ისლამის წმინდა წიგნი). ისლამური სამართალი ასევე ცნობილია შარიატის სახით, რაც ღმერთის წესებს ნიშნავს და ძირითადად ისლამის მორალურ კოდექსს წარმოადგენს. უფრო ზუსტად რომ განვმარტოთ, მართალია, ყურანი არ არის სამართლის კანონთა კრებული, მაგრამ ის მოიცავს ბიზნესთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შეთანხმებისადმი პატივისცემას და ბიზნესში პატიოსნებისა და რწმენის ფაქტორების გათვალისწინებას. ისლამური სისტემის მიხედვით, ღმერთმა კანონის ძალა მიანიჭა წინასწარმეტყველ მუჰამედს. ზოგიერთი ექსპერტის მტკიცებით მეათე საუკუნის მიწურულს რელიგიურად განსწავლული პირების ძალისხმევით საღვთო კანონი გადაითარგმნა, ფართოდ გავრცელდა და ამას არანაირი საფუძვლიანი ახსნა-განმარტება არ სჭირდებოდა.

სხვა სამართლებრივ სისტემებთან ერთად, იმ 30 ქვეყანას შორის, სადაც ისლამური სამართალი ვრცელდება, არსებობს განსხვავებები, ეს კოდექსები საუკუნეების წინ შეიქმნა და დღესაც არსებობს მცირეოდენი ცვლილებებით, რომლებმაც შეიძლება მულტიეროვნულ კომპანიებს პრობლემები შეუქმნას, იმის გათვალისწინებით რომ ბევრი დასავლური ქვეყანა ორიენტირებულია კაპიტალდაბანდებაზე. ისლამური კანონი მოითხოვს *riba*-ს კანონისადმი მორჩილებას, რომელიც კრძალავს გაცემულ სესხზე პროცენტის მიღებას და მოითხოვს ღარიბების პატივისცემას. ბევრი ისლამური სასამართლო ამ კანონების მიხედვით მოქმედებს. მაგალითად, პაკისტანის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა რომ საბანკო სესხიდან მიღებული საპროცენტო განაკვეთი არაისლამური და არალეგალურია. პაკისტანის უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ფედერალურ სასამართლოს და უფრო მეტიც, მიიღო 20-ზე მეტი კანონი, რომლებიც შეეხებოდა იმ ფინანსურსა და საბანკო საკითხებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ისლამურ კანონს. სასამართლოს რჩევით უნდა ჩამოყალიბებულიყო საბანკო სისტემა, რომელიც არ მოითხოვდა საპროცენტო განაკვეთს, ამის საპასუხოდ შეიქმნა სამთავრობო კომიტეტი.

როგორც ხედავთ ბევრ ბანკს მოუწია ამ წესებისადმი წინაარმდეგობის გაწევა. პაკისტანის ფინანსთა მინისტრმა ბატონმა სარდარ აზიფ აჰმედ ალი-მ განაცხადა, რომ სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება უარყოფითად აისახებოდა უცხოურ ინვესტიციებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო ბანკის ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულებაში.

იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელსაც ეს მოთხოვნები ქმნის საერთაშორისო ვაჭრობაში, მუსულმანურმა ბიზნესმა გამოიგონა ბევრი უნიკალური ხერხი. მაგალითად, ბანკები ირანში საპროცენტო განაკვეთის ნაცვლად სესხზე წინასწარ

საფასურს **upfront fees** აწესებენ, ან გამოიყენება სალიზინგო ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაში მოდის ისლამურ სამართალთან. ზოგიერთმა ამერიკულმა ბანკმა განავითარა კრეატიული საფინანსო შეთანხმებები, რათა მიესადაგოს ყურანის მოთხოვნას, რომლის შესაბამისად არ შეიძლება პროცენტის გადახდა ან მიღება. მაგალითად, სტომატოლოგმა დოქტორ ალა-უდ დინმა, რომელიც კალიფორნიის შტატში სან-ჯოზეში ცხოვრობდა, გადაწყვიტა ეყიდა სახლი, ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ძვირი უძრავი ქონების ბაზარზე, მაგრამ პრობლემებს წააწყდა. საბედნიეროდ მცირე ისლამურმა ფინანსურმა კომპანიამ შეისყიდა სახლი დოქტორ დინისათვის და მიაგირავა მას 15 წლის ვადით, ამ პერიოდის გავლის შემდეგ სტომატოლოგი ამ სახლის მესაკუთრე გახდებოდა. ბანკებს ზოგიერთ ქვეყნებში სურთ წარმოჩინდნენ შაჰირას წესების მიმდევრებად, ამასთანავე მათ სურთ ბიზნესის წარმოებაც, ერთისავე და მეორეს გაკეთებას ცდილობენ კანონის გათვალისწინებით. ისინი ხშირად ყიდულობენ ქონებას ფირმისთვის და შემდეგ დებენ სალიზინგო ხელშეკრულებებს. რამდენიმე ამერიკული საერთო ფონდიც გაერთიანდა და იყენებს ისლამურ სამართალს. კომპანიებს, რომლებიც მოღვაწეობენ ისლამურ ქვეყნებში ურჩევნ ყურადღებით მოეკიდნონ ისეთ საკითხებს, როგორცაა კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ხალხის დაქირავება ისეთი ღონისძიებებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ალკოჰოლთან. ზოგიერთი დასავლური ბანკები: „სითი ბანკი“, `ჯ.პ. მორგანი“, და „დოიჩე ბანკი“ ბიზნესს ისლამურ ქვეყნებში აწარმოებენ და ამ პირობებშიც სოლიდურ მოგებასაც დებულობენ.

სხვა სამართლებრივი სისტემები. მსოფლიოში სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა მოქმედებს, მათ შორისაა სოციალისტურ-კომუნისტური, ან ბიუროკრატიული ან სუბსაჰარის აფრიკული კანონები. მაგალითად, ჩინეთის სამართლებრივი სისტემა, სხვადასხვა სისტემების კომბინაციას წარმოადგენს. ჩინური კულტურის ბევრი ასპექტის მსგავსად, დასავლელი ბიზნესმენებისათვის ძნელია სამართლებრივი სისტემის მუშაობის წესის ათვისება. მაგალითად, ავილოთ სატრანსპორტო კანონი. ჩინეთში ბევრი ფირმა არ აძლევს თავიანთ ემიგრანტ მოსამსახურეებს მანქანის მართვის უფლებას. სამაგიეროდ, დაბალი ღონის მენეჯერებს, მანქანებითა და მძღოლებით უზრუნველყოფენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩინური კანონი, ველოსიპედისტთან ან ქვეითად მოსიარულესთან შეჯახების შემთხვევაში, მძღოლს ნაწილობრივ ეკისრება ვალდებულება. კარგად ცნობილია გაჩერებული მანქანის ისტორია, (გაჩერებაზე დაყენებული იყო უცხელის მიერ) რომელსაც ველოსიპედისტი დაეჯახა. მანქანის მფლობელს ბრალდების 10% დაეკისრა, რადგან ჩინელების აზრით " ის ჩინეთში რომ არ ჩამოსულიყო ეს არ მოხდებოდა". ჩინური კანონები ბევრ საინტერესო შემთხვევას მოიცავს, ამიტომ დასავლურმა ფირმებმა, რომლებსაც ამ ბაზარზე შესვლა და იქ დაფუძნება სურთ, კარგად უნდა შეისწავლონ ეს კანონები. 2014 წლის მიწურულს, ეროვნული კომუნისტური პარტიის შეხვედრაზე, ჰუ ჯინტაო იმედოვნებდა, რომ წარადგინდა გრძელვადიანი გეგმას, იმ საკანონმდებლო ბაზის სეცვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია ჩინეთში საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან. ზოგი ფიქრობს, რომ დენგ ქსიაოპინის "სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის" პროგრამის რეალიზაციას ყველაზე დიდი ეკონომიკური ცვლილებები მოჰყვებოდა. ჩინეთში ბევრი დღესაც თვლის, რომ ეს რეფორმა მოიტანს ბევრ სარგებელს, მათ შორის ბიუროკრატიული კორუფციის მსხვერვას. ექსპერტები, მათ შორის, ჩინეთის მეცნიერებისა და სამართლის უნივერსიტეტის პროფესორი ლი შუგუიანი ამბობს: "ჩინეთში უკვე 20 წელია საბაზრო ეკონომიკა ფუნქციონირებს, მაგრამ მასში არ არის ისეთი ძირითადი კანონები როგორებიცაა: გაკოტრების შესახებ ან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი საბაზრო კონკურენცია". ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციაში გაერთიანების შემდეგ გარეგანი ფაქტორები გახდნენ ამ ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების მიზეზი.

ჩინეთის გარდა, ბევრი ფიქრობს რომ, ათწლეულების გასვლასთან ერთად მსოფლიოში არსებულ სისტემებს შორის უფრო მეტი საერთო ნიშნები გაჩნდა. ჯერ კიდევ საკითხავია საქმე რაში მდგომარეობს. ჩვენ ვამჩნევთ რომ ასეთი სამართლებრივი მიდგომა ქვეყნების დისკრიმინაციისაგან თავდაცვაში აისახება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1964 წელს მიღებული სამოქალაქო უფლებების კანონი, ამ ქვეყნის ფირმებს

უკრძალავს შეერთებულ შტატებსა და საზღვარგარეთ მომსახურე პერსონალის დისკრიმინაციას. უცხოური კომპანიებიც, რომლებიც მოღვაწეობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა დაემორჩილონ ამ კანონის მოთხოვნებს. სქესობრივი დისკრიმინაცია აკრძალულია ბელგიაში. მაშინ, როდესაც ასაკობრივი დისკრიმინაცია უკანონოა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ის ნებადართულია საფრანგეთში. საინტერესოა, რომ საფრანგეთის საზღვრები დისკრიმინაციის წინააღმდეგ ფართოა (სქესობრივი, რასობრივი, რელიგიური), მაგრამ მათ არ გააჩნიათ კანონები, რომლებიც კრძალავს ასაკობრივ ან ეთნიკურ დისკრიმინაციას. პაკისტანსაც სამოქალაქო თავდაცვის ბევრი ფორმა აქვს, მაგრამ დამქირავეებს კანონიერად შეუძლია სქესი სამუშაო შეზღუდვებისთვის გამოიყენოს. საბოლოოდ, ზოგიერთ ქვეყანას საერთოდ არ აქვს განსაკუთრებული კანონები დისკრიმინაციის წინააღმდეგ. მაგალითად, ასეთი ქვეყანაა ვენესუელა. ასე რომ, საჭიროა უცხოურმა ფირმამ იცოდეს იმ ქვეყნის სამართლებრივი სისტემების თავისებურებანი, სადაც მოღვაწეობს. ამის ერთ-ერთი გზაა ისეთ გაერთიანებებში გაწევრიანება, როგორცაა გაერთიანებულ სამეფოსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად შექმნილი, “სამართლებრივი სახლი”, რომელშიც დაახლოებით 2000 ადვოკატი შედის. კიდევ უფრო შორს რომ წავიდეთ, ეკონომიკური და ფინანსური ბაზრების საზღვრების ზრდასთან ერთად, ქვეყნები ვერ ეგუებიან შერეულ წესდებას. მაგალითად, როცა მაკლერი საუდის არაბეთიდან, ყიდულობს ბრიტანული კომპანიის წილს NASDAQ-ის ბირჟაზე, საჭიროა აზრთა შეთანხმება. საინტერესოა ის, რომ არსებობს ქვეყნების საერთო კანონებისა და სტანდარტების მიმართ მიდრეკილება, (სისტემა რომელიც გამოყენებულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის), მაგრამ ეს ტენდენცია შორსაა უნივერსალურისგან და იმ ქვეყნებს შორის რომლებიც, განსხვავებულ კანონებს იყენებენ წარმოიშობა წინააღმდეგობა.

სხვა პირობებთან ერთად, პრობლემა სისტემებსა და კანონებში კი არა, უფრო მეტად შეიძლება დეტალებში იყოს. 2.3 ცხრილი წარმოგვიდგენს იმას, რაც მხედველობაში გვაქვს. ცხრილში ასახულია მონაცემები იმის შესახებ, ბიზნესის ადმინისტრატორების თვალსაზრისით რამდენად მიუკერძოებელია მართლმსაჯულება 49 ქვეყანაში. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ბევრი განვითარებადი ქვეყანა სიის ბოლოშია (ამ ცხრილში ნაჩვენებია პირველი და ბოლო ათეული). ამ ცხრილში ნაჩვენებია არ არის, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები რიგით მეექვსეა, ჩინეთი კი ოცდამეექვსე. ეს მიგვითითებს იმაზე, რომ საერთაშორისო ფირმებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საერთაშორისო სამართალს.

ცხრილი 2.3

რეიტინგი რომელიც გვიჩვენებს რამდენად სამართლიანია მართლმსაჯულება სხვადასხვა ქვეყანაში: პირველი ათი და ბოლო ათი ქვეყანა.

1	დანია	9.14	40	მექსიკა	3.09
2	ფინეთი	8.91	41	სლოვაკეთის რესპუბლიკა	2.96
3	კანადა	8.56	42	ფილიპინები	2.89
4	ნორვეგია	8.56	43	პორტუგალია	2.83
5	ავსტრია	8.54	44	პოლონეთი	2.57
6	ისლანდია	8.51	45	კოლუმბია	2.51
7	სინგაპური	8.51	46	რუსეთი	2.42

8	შვედეთი	8.36	47	ინდონეზია	1.74
9	ახალი ზელანდია	8.32	48	ვენესუელა	1.68
10	შვეიცარია	8.32	49	არგენტინა	0.83

საერთაშორისო სამართალი.

ქვეყნის შიდა კანონები არ ვრცელდება მის საზღვრებს გარეთ, საერთაშორისო სამართალში კი არსებობს წესები, რომლებიც აწესრიგებს საგარეო ურთიერთობებს. წლების განმავლობაში დაიღო უამრავი ხელშეკრულება, რომელიც ემსახურება საერთაშორისო სამართალს. ეს ხელშეკრულებები აისახა სავაჭრო ბლოკების დაფუძნებაში, რომლებიც ცდილობენ შეიმუშაონ საერთაშორისო ვაჭრობის კანონები.

ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება (ტვშ), მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია (მვო). ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება, არის ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულება, რომელიც ხემოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობაზე. ტვშ არის 1948 წლის 53 ქვეყნის მონაწილეობით შემდგარი კონფერენციის შედეგი. ამ კონფერენციის მონაწილეებს აღეგუბდათ ქვეყნების პოლიტიკური სტაბილურობა, პროტექციონიზმისა და მაღალი ტარიფების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე. ტვშ-ს მიზანი იყო ყველა წევრზე თანაბრად გაენაწილებინა სავაჭრო უპირატესობა. საერთაშორისო ვაჭრობის გააქტიურების მიზნით ქვეყნები შეთანხმდნენ შეღავათიან ტარიფებზე. დღესდღეობით 140-ზე მეტი ქვეყანა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის (მვო) წევრია, (ტვშ-ს შემცველი მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც 1995 წელს დარსდა), ბევრი ქვეყანა არ არის მისი წევრი, მაგრამ ისინი მაინც იღებენ სავაჭრო შეღავათებს და ამ წევრობისკენ მიისწრაფიან. ეს პროცესი შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. მაგალითად, ჩინეთის მვო-ს წევრობაზე 1986 წელს დაწერილი განაცხადი, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის კავშირს შორის დაზღვევის საკითხზე დაწყებულმა სამოქალაქო ბრძოლამ შეაჩერა. დავის საგანი იყო, უნდა მიეღო თუ არა შეღავათები ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დიდ სადაზღვეო კომპანიას- AIG-ს ჩინეთის მიერ, ევროპელი კონკურენტების ხარჯზე.

როდესაც ქვეყანა წევრობის უფლებას იღებს, მას მოეთხოვება თავისი ტარიფები და ბიზნესის სხვა კანონები ორგანიზაციის მიერ დადგენილ ნორმებს შეუსაბამოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მვო-ს მხრიდან წააწყდება სანქციებს. ჩინეთს, რომელიც 2002 წლის იანვარში, ბოლოს და ბოლოს გახდა მვო-ს წევრი, მოეთხოვება გააუქმოს ბევრი სავაჭრო შეზღუდვა. მაგალითად, მან უნდა შეამციროს საიმპორტო ტარიფები 21%-დან 8%-მდე. დღესდღეობით იმპორტიორებს თუ სურთ რომ მოახდინონ იმპორტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ისინი ითვალისწინებენ სამკაოდ ვრცელ დოკუმენტს (100 გვერდზე მეტი) რომელსაც ეწოდება “ტარიფების პარმონიულად განაწილება ამერიკის შეერთებული შტატებისთვის”. მვო-ს ხელშეკრულებების განახლება ხდება რამდენიმე წელიწადში ერთხელ დაგეგმილი რაუნდების დროს. მიჩნეულია, რომ ამ მრავალეროვანი მოლაპარაკების პროცესმა უნდა გააუქმოს ბევრი ორმხრივი სავაჭრო შეთანხმება, მაგრამ ცხადია, რომ ისინი ჯერ კიდევ არსებობენ. მიუხედავად იმისა, რომ მვო-მ ბევრი დადებითი ნაბიჯი გადადგა (როგორცაა მაგალითად, ტარიფებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი წესების შემოღება), მას მაინც აკრიტიკებენ. კრიტიკის ობიექტი არის ის რომ, ორგანიზაცია ძალიან ნელი და ინერტიულია. ეს მოტივირებულია ამ ორგანიზაციაში მისაღები გადაწყვეტილებების განხილვის ბიუროკრატიულობით. მოლაპარაკების პროცესში მოსმენილ უნდა იქნას 140 ქვეყნის მოსაზრება, ხოლო შეხვედრები იმართება მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ. ამასთანავე, მვო-ს სტრუქტურაში არსებობს რამდენიმე მუხლი, რომელიც ნებას რთავს ქვეყნებს შეინარჩუნონ უთანასწორობა ტარიფების დაწესების საკითხში. (როგორც ეს წარსულში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააკეთა ლითონზე და მოტოციკლეტებზე). მვო-ს

შელახული რეპუტაცია, გააკრიტიკა Wall Street Journal-მა, როდესაც ამხილა ის გადაწყვეტილების მიღების უუნარობასა და უძღურობაში.

საერთაშორისო ვაჭრობას არეგულირებს სხვა რეგიონული გაერთიანებანიც, ისეთები, როგორებიცაა ევროკავშირი, NAFTA და სხვები. გაერთიანებული ერების და მისი მოკავშირე ორგანიზაციების (მაგალითად, მუშათა საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, ზარაფხანის საერთაშორისო ფონდი) მსგავსად მატ უნდა უზრუნველყოფენ იმ გარემოს შექმნა, რომელშიც ხორციელდება გლობალური ბიზნესი. მაგალითად, მსოფლიო ბანკი დაარსდა 1944 წელს ომისგან დაუძღურებული ევროპის დასახმარებლად. მასზე უფლება გააჩნია 181 ქვეყანას, მაგრამ მას მართავს ამერიკის შეერთებული შტატები. მისი სასესხო ბიუჯეტი (loan portfolio) შეადგენს 120 მილიონ დოლარს, რომელიც ორიენტირებულია აზიაზე, აფრიკაზე, დასავლეთ ევროპასა და სამხრეთ ამერიკაზე. ბანკი უშუალოდ არ ახორციელებს მთავრობების მიერ დამტკიცებულ პროექტებს, ის მათ აფინანსებს, მთავრობა ამ ფულს სესხულობს, ხოლო ბანკი აკონტროლებს მისი გაცემისა და მოხმარების წესებს.

საერთაშორისო დავების გადაწყვეტა. რა თქმა უნდა საერთაშორისო ხელშეკრულებების არსებობა არ უზრუნველყოფს იმას რომ, ქვეყნებს შორის კონფლიქტი არ წარმოიშობა. ქვეყნებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამართლებრივი უთანხმოება. საზღვრებს გარეთ დავის გადაწყვეტა ძალიან რთულია, იმიტომ რომ ამ სავაჭრო კონფლიქტებს საერთაშორისო და საშინაო სამართალი განსხვავებულად განიხილავს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები მკაცრად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ის ცდილობდა შეეზღუდა თავისი და უცხოური ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომლებთანაც კონფლიქტი აქვს. ამის მაგალითია ერაყი და კუბა. ისინი ამტკიცებენ, რომ შეერთებული შტატების ქმედებები არღვევენ მვლ-ს შეთანხმებებს, რომლებშიც ამ ქვეყნის წარმომადგენლები აღიარებენ საშინაო კანონებს და მათზე ზემოქმედების მოხდენას ცდილობენ. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია შემდეგი შეკითხვის დასმა: სად უნდა გადაწყდეს საკითხი? რომელ სასამართლოს ან ქვეყანას აქვს ან უნდა ჰქონდეს ასეთ სიტუაციებში იურისდიქცია?

იურისდიქციის წყარო ამ მხრივ საყურადღებოა ის ისტორიული ინდუსტრიული კატასტროფა, რომელიც 1984 წელს, ბუფალოში, ინდოეთში მოხდა. ინდური კორპორაცია Union Carbide India, Limited (UCIL) მართავდა ქიმიურ ქარხანას ბუფალოსთან ახლოს. ოპერატორების დაუდევრობით გამოწვეული უბედური შემთხვევა იყო კატასტროფული. ქარის მეშვეობით სასიკვდილო აირი გავრცელდა მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში, რამაც თავბრუდამხვევი სისწრაფით გამოიწვია ადამიანების სიკვდილი. 2100 ადამიანზე მეტი გარდაიცვალა, 200000-მდე კი მნიშვნელოვანი დაზიანება მიიღო. მნიშვნელოვანია შევნიშნოთ ის რომ, UCIL მოექცა ინდური იურისპუდენციის ქვეშ და მისი აქციები სახალხოდ გაიყიდა ბომბეის ბირჟაზე. მისი აქციების უმრავლესობას (50.9%) ფლობდა ამერიკული კომპანია Union Carbide Corporation-ი. 22 %-ს ფლობდა ინდოეთის მთავრობა და დანარჩენი 27% ეკუთვნოდა კერძო ინდოელ ინვესტორებს.

უბედური შემთხვევის შემდეგ, ამერიკელი ადვოკატები დაუწყებლივ გაემგზავრნენ ინდოეთში და ბევრ ინდოელ კლიენტს კონტრაქტზე მოაწერინეს ხელი. (ყველა დაზარალებული, ქარხანის მუშებთან ერთად ინდოელი იყო). კატასტროფიდან 4 დღეში ამერიკის შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოში 100-ზე მეტი საქმე აღიძრა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ საქმეების გასამართლებლად, შეიქმნა დამამტკიცებელი საბუთი, რომ ამერიკული დედობილი კორპორაცია (UCC) აკონტროლებდა ფილიალს(UCIL). Union Carbide-მა თავი დაიძვრინა იმით, რომ მან განაცხადა, რომ ის აღარ ჩაერეოდა ამ კონკრეტული ქარხნის და მისი სხვა 7 ფილიალის საქმიანობაში ინდოეთში. UCC-ს მომსახურე პერსონალის დახმარებით მონაწილეობა და ქარხნის მუშაობა კატასტროფამდე სულ ცოტა ერთი წლით ადრე აკრძალული იყო. ამიტომ გადაწყდა, რომ ამ საქმის განხილვის ყველაზე მეტი უფლება ინდურ სასამართლოს გააჩნდა. ყველა მხარემ (UCC, ამერიკელი ადვოკატები, დაზარალებულთა ოჯახები) იცოდა, რომ კომპენსაცია ამერიკულ სასამართლოებში ინდურთან შედარებით ბევრად მაღალი იქნებოდა. ამასთანავე, იმ ფაქტმა

რომ კომპენსაციის ერთ-მესამედს ადვოკატები მიიღებდნენ, ამერიკულ სასამართლოებში საქმე დააჩქარა. როგორც აღმოჩნდა, 1987 წელს შეერთებული შტატების აპელაციების საოლქო სასამართლომ გადაწყვიტა რომ, საქმის განხილვის უფლება უნდა მისცემოდა ინდურ სასამართლოს და განაცხადა, რომ მიიღებდა იმ შეთანხმებას, რომელსაც კორპორაცია და ინდური სასამართლო მიაღწევდნენ. საბოლოოდ, Union Carbide (U.S) –მა ინდოეთის უზენაეს სასამართლოსთან მიაღწია შეთანხმებას, რომ ის დაზარალებულებს გადაუხდიდა 480 მილიონ დოლარს, ეს თანხა ამერიკაში დადგენილ სტანდარტებთან შედარებით საკმაოდ მცირე იყო.

ბევრი რთული სადავო საკითხი ბუნდოვნად რჩება საერთაშორისო სამართლისთვის, ისეთები როგორებიცაა, ინტერნეტი და ციფრული პროდუქტები. ისევე როგორც ბიზნესის სხვა დარგებში, ქვეყნებს უჭირთ ინტერნეტ სფეროში სუვერენიტეტის დათმობა. ამის კარგი მაგალითია რუსი პროგრამისტის დიმიტრი სკლიაროვის საქმე, რომელიც წარმოადგენდა მოსკოვში დაარსებულ Elcomsoft კორპორაციას. დიმიტრი სკლიაროვი დააპატიმრეს ლოს ანჯელესში და იგი ბრალდებულ იქნა Adobe სისტემების, რომლებიც იცავენ ელექტრონულ წიგნებს, უკანონო გამოყენებაში. მიუხედავად ამისა, მისი პროგრამა ლეგალურია რუსეთში, უფრო მეტიც ის რუსეთში გაყიდვაშია ჩაშვებული. საბოლოოდ, ოლქის სასამართლომ გაათავისუფლა Elcomsoft-ი და ბატონი სკლიაროვი Adobe-სა და სხვა ამერიკული ფირმებისთვის ვალის გადახდის შემდეგ. კიდევ უფრო შორს რომ წავიდეთ, ავსტრალიური სასამართლოს გადაწყვეტილებით, ავსტრალიელ ბიზნესმენს ჯოზეფ გუტნიკს შეეძლო საქმე აღედგინა Dow Jones & Co. (ნიუ-იორკში დაარსებული) კორპორაციის წინააღმდეგ (Wall Street Journal Online-ს მფლობელები). ბატონი გუტნიკის მტკიცებით ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებულმა და ინტერნეტის საშუალებით გავრცელებულმა სტატიამ შელახა მისი რეპუტაცია. Wall Street Journal Online-ს თავად მოუწვევს საკუთარი თავის დაცვა თუ სხვა სასამართლო არ ჩაერევა. ბევრი კომპანია უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ასეთ შემთხვევებს, რადგან ის წარმოშობს პრობლემურ საკითხებს. მაგალითად, რა მოხდება თუ ინგლისელი უჩივლებს ამერიკელ გამომცემელს ცილისწამებისთვის და ამერიკულ ფირმას მოუწვევს საკუთარი უფლებების დაცვა ბრიტანული კანონმდებლობის ქვეშ? კანონები ამერიკის შეერთებულ შტატებში ზედნადებ ხარჯებს აკისრებს მოსარჩელეს, მაშინ როდესაც ბრიტანული სასამართლოში ეს ხარჯები ეკისრება ბრალდებულს. ან რა ელოდება ამერიკულ ფირმას რომელმაც გადაიღო ფილმი შიშველი სცენებით? უნდა იყვნენ თუ არა ისინი ნაჩვენებნი იმ ქვეყნებში, რომლებიც კრძალავენ ასეთ სცენებს? ამ შემთხვევების დაკვირვებასთან ერთად ბევრმა კომპანიამ მოქმედება დაიწყო. კომპანია The database Software maker- მა გამოიტანა თავისი პროდუქტი საფრანგეთიდან, რათა თავიდან აეცილებინა ცილისწამება, პროდუქტზე პასუხისმგებლობა და სხვა სამართლებრივი ქმედება.

ეს შემთხვევები დაგვაფიქრებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა, არიან თუ არა უცხოური კომპანიები პასუხისმგებელნი თავიანთი პროდუქტების გავრცელების შედეგებზე უსოურ ბაზარზე. ძნელია იმის გადაწყვეტა თუ რომელი ქვეყნის სასამართლოები და კანონები უნდა არეგულირებდეს ინტერნეტისა და სხვა სიტუაციებს. ხშირად ეს გაუგებრობა აისახება პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხების ჩამოყალიბებაში.

თავის შეჯამება

ჩვენ მიმოვიხილეთ მსოფლიოს ირგვლივ ოპერირებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი იურიდიული სისტემების ნაწილი, მათ შორის *სამოქალაქო, კერძო* და *ისლამური სამართლის* სისტემები. თითოეულ ამ სისტემას მისი იურისდიქციის ქვეშ მოქმედ ბიზნესზე განსხვავებული ზემოქმედება გააჩნია. მაგალითად, **კერძო სამართლის** სისტემებში დასაქმებულ ბიზნესს შეიძლება მოუწიოს დიდი რაოდენობით დავებთან განმკლავება, რადგან ასეთი სისტემებისათვის ტიპიურია სტატუსების გამუდმებული ცვლა.